# საერთაშორისო მექანიზმები

## გარემოსდამცველთა დასაცავად

თბილისი - საქართველო - 2025

# გარემოს დაცვა: სახიფათო საქმე



# რა გამოწვევები გველის წინ?



პოლიტიკური გადაწყვეტილებები NGO-ებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შემცირების/შეწყვეტის შესახებ

გარემოსდაცვითი აქტივიზმის სამართლებრივი შეზღუდვა

პოპულისტური პოლიტიკისადმი საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერა. „სახელმწიფოს მტრების“ ძიება

მედია თავდასხმა, ცილისწამება, დეზინფორმაცია

მზარდი ზეწოლა გარემოსდაცვითი აქტივისტების მიმართ

სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოებრივი ჩართულობის წინააღმდეგ (SLAPP), სისხლისსამართლებრივი დევნა

# რეპრესიები

- ბოლო 19 წლის განმავლობაში (2006 წლიდან მოყოლებული) მსოფლიო ყოველწლიურად კარგავს თავისუფლებას *(Freedom House)*
- 2012 წლიდან რუსეთმა და ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის კიდევ 7-მა ქვეყანამ მიიღო „უცხოელი აგენტების“ კანონი (ყველაზე ბოლოს – საქართველომ). მსოფლიოს მასშტაბით, 130-მა ქვეყანამ შემოიღო სხვადასხვა სახის შეზღუდვა.
- ბოლო ათწლეულის განმავლობაში (2012–2023 წწ.) მსოფლიოში 2,100 გარემოსდამცველი აქტივისტი მოკლეს *(Global Witness)*

**Stop-Persecution.org**

# რატომ?

- მწვავდება სამმაგი პლანეტარული კრიზისი (კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, ტოქსიკური დაბინძურება)
- იწურება არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსები, მათზე ბრძოლა კი ძლიერდება.
- გლობალურად იზრდება უთანასწორობა (მსოფლიო სიმდიდრის 50% ეკუთვნის ადამიანთა 1%-ს – 20 წლის წინ ეს მაჩვენებელი 40% იყო).
- ინსტიტუტების, მეცნიერებისა და ფაქტებისადმი ნდობა კლებულობს.
- "გრინვოშინგი", დეზინფორმაციის კამპანიები.
- პოპულისტი პოლიტიკოსების მასობრივი მხარდაჭერა, პოლიტიკის ოლიგარქებთან და გლობალურ კორპორაციებთან დაკავშირება.

# გარემოს დამცველები = ტერორისტები

**2016: Standing Rock, აშშ**



**2025: Just Stop Oil, ბრიტანეთი**



# გაეროს საერთაშორისო სამართალი

**ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სტანდარტები:**

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (CCPR)
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ESCR)

**ვრცელდება ყველა პირზე.**

# გაეროს მიერ ადამიანის უფლებათა დამცველების აღიარება

- **გაეროს გენერალური ასამბლეის (UNGA) რეზოლუცია 76/300 (2022).** გარემოსდაცვითი უფლებები ადამანის უფლებებია, რომლებიც ორიენტირებულია სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოში ცხოვრებაზე. იგი აუცილებელ საფუძველს ქმნის ადამიანის სხვა ძირითადი უფლებების, მათ შორის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკვების უფლებების, სრულად რეალიზებისთვის.
- **UNGA რეზოლუცია A/RES/78/216 (2023).** სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ პიროვნების, ჯგუფებისა და საზოგადოების ორგანოების უფლებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დეკლარაციის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების ხელშეწყობასა და დაცვას, ადამიანის უფლებათა დამცველთათვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნითა და მათი ეფექტიანი დაცვის განხორციელებით.
- **ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუცია ახალი და მზარდი ტექნოლოგიების შესახებ (2025).** ყურადღებას ამახვილებს ციფრულ ეპოქაში დაცვის გაძლიერებაზე, რაც მოიცავს  კიბერ-თვალთვალს, ინტერნეტის გათიშვასა და სხვა ტენდენციებს, რომლებიც ადამიანის უფლებების დამცველებისთვის ახალი სახის საფრთხეებს ქმნის.

# უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში

- გაეროს წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა ყოველ 4.5 წელიწადში ერთხელ ფასდება.
- სახელმწიფოები წარმოადგენენ ანგარიშებს ადამიანის უფლებათა გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ.
- NGO-ები უფლებამოსილნი არიან წარადგინონ საკუთარი პოზიციები.




**NGO-ები: ohchr.org/en/hr-bodies/upr/ngos-nhris**

**საქართველო: ohchr.org/en/hr-bodies/upr/ge-index**

# საერთაშორისო პაქტები CCPR & ESCR

- ადამიანის უფლებათა საბჭო განიხილავს ინდივიდუალურ საჩივრებს.
- CCPR: 163 საჩივარი 2024 წელს.
- კომიტეტი უფლებამოსილია სახელმწიფოს მიმართოს "დროებითი ღონისძიების" მიღების მოთხოვნით.

**ohchr.org/en/treaty-bodies/ccpr/individual-communications**
**ohchr.org/en/treaty-bodies/cescr/individual-communications**

# გაეროს სპეციალური პროცედურები



სპეციალური მომხსენებელი უფლებადამცველთა მდგომარეობის საკითხებზე

მერი ლავლორი

https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-human-rights-defenders



სპეციალური მომხსენებელი კლიმატის ცვლილების საკითხებზე

ელისა მორგენა

https://www.ohchr.org/en/specialprocedures/sr-climate-change

# გაეროს სპეციალური პროცედურები



სპეციალური მომხსენებელი ტოქსიკური ნივთიერებებისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე

მარკოს ა. ორელანა

https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-toxics-and-human-rights



სპეციალური მომხსენებელი ჯანსაღ გარემოზე ადამიანის უფლებების საკითხებზე

ასტრიდ პუენტეს რიანიო

https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-environment

# ორჰუსის კონვენცია გარემოსდაცვით დემოკრატიაზე



# ორჰუსის კონვენციის ფარგლებში გაეროს სპეციალური მომხსენებელი გარემოსდაცველთა საკითხებზე



**მიშელ ფორსტ**

სპეციალური მომხსენებელი იღებს შესაბამის ზომებს ნებისმიერი პირის დასაცავად, რომელიც ორჰუსის კონვენციით მინიჭებული უფლებების განხორციელების გამო დასჯის, დევნის ან შევიწროების მყისიერი საფრთხის წინაშე დგას ან უკვე განიცდის მას.

- ამზადებს ყოველწლიურ თემატურ ანგარიშებს გაეროს გენერალური ასამბლეისა და ადამიანის უფლებათა საბჭოსათვის.
- ახორციელებს ქვეყნებში ვიზიტებს.
- რეაგირებს შეტყობინებებზე.

https://unece.org/env/pp/aarhus-convention/special-rapporteur

# ევროკავშირის მექანიზმი ადამიანის უფლებათა დამცველებთან დაკავშირებით

| | |
|---|---|
| მართავს მუდმივ და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, რათა უზრუნველყოს გადაუდებელი დახმარებისა და პრაქტიკული მხარდაჭერის გაწევა საფრთხეში მყოფი ადამიანის უფლებათა დამცველების, მათი ოჯახებისა და მათი საქმიანობისთვის. | მართავს დროებითი რელოკაციის პროგრამას საფრთხის ქვეშ მყოფი ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის, რათა გადაუდებელი საფრთხის შემთხვევაში ისინი გადაიყვანოს მათი საკუთარ ქვეყნის შიგნით, რეგიონის ფარგლებში ან საზღვარგარეთ. |
| მხარს უჭერს რისკის ქვეშ მყოფი ადამიანის უფლებადამცველებისთვის თავშესაფრების შექმნას და კოორდინაციას უწევს იმ დაინტერესებულ მხარეთა გაცვლის პლატფორმას, რომლებიც უფლებადამცველთა დროებით რელოკაციაზე მუშაობენ. | ადამიანის უფლებათა დამცველებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს სთავაზობს ტრენინგებს, ფინანსურ მხარდაჭერას, აკომპანირებასა და შესაძლებლობების გაძლიერებას. |
| ახორციელებს ადამიანის უფლებათა დამცველების მდგომარეობის მონიტორინგს, მათ შორის ადგილზე, და ადვოკატირებს მათი დაცვის დღის წესრიგის შემუშავებას ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. | უზრუნველყოფს კოორდინაციის ხელშეწყობას ადამიანის უფლებათა დამცველთა მხარდაჭერაზე მომუშავე ორგანიზაციებს, ევროკავშირის ინსტიტუტებსა და სხვა შესაბამის  მხარეებს შორის. |

# საერთაშორისო მექანიზმების გზამკვლევი




[პუბლიკაციის ჩამოტვირთვა]

# ნუ გაუმკლავდები პრობლემას მარტო

1. სისტემატურად შეაგროვეთ მტკიცებულებები და ჩვენებები
2. გაიარეთ კონსულტაცია ადამიანის უფლებათა დამცველ ადვოკატთან
3. გამოიყენეთ ქვეყნის შიდა სამართლებრივი საშუალებები
4. გაასაჯაროეთ თქვენი საქმე მედიის საშუალებით
5. გამოიყენეთ საერთაშორისო დაცვის მექანიზმები
6. დაუკავშირდით სპეციალურ მომხსენებელს

მადლობა ყურადღებისთვის!

**მარტინ სკალსკი**
martin.skalsky@arnika.org

**არნიკა – მოქალაქეთა მხარდაჭერის ცენტრი**
სეიფერტოვას 327/85, 130 00 პრაღა 3
(Seifertova 327/85, 130 00 Prague 3)
ჩეხეთის რესპუბლიკა

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ecoge.org**

**arnika.org/en/countries/georgia**

ARNIKA

TRANSITION
Ministry of Foreign Affairs of the Czech Republic

CZECH AID